პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი, № 187 (12101) | ხუთშაბათი, 17 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

პარტიული კონფერენციები

რესპუბლიკის ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში უკვე ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. უახლოეს ხანში ასეთი კრებები ყველგან გაიმართება, და აი კრებების კვალდაკვალ იწყება პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კონფერენციები.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნების — კრებების და კონფერენციების ჩატარება ემთხვევა იმ დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს, რომლითაც ახლა მთლიანად ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა, ხალხი. სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების გამოქვეყნებამ უფრო შინაარსიანი და სისხლსავსე გახადა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, უფრო შემოქმედებითად უდგებიან ისინი სათავეში მშრომელთა პატრიოტულ შრომას კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელი ორგანოების შესახებ სკკპ ახალი წესდების პროექტში ნათქვამია:

—მათი მოვალეობაა: პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, მათი მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის; ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის.

პარტიის ახალი წესდების პროექტში აგრეთვე მითითებულია საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული ორგანიზაციების მოვალეობანი იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციის, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, მშრომელთა კომუნისტური შეგნებულობის ამაღლების, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერაციისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში.

სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში საჭიროა ყოველმხრივ, პარტიული პირდაპირობითა და გაბედულობით ვამხილოთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, ღრმა ანალიზი გავუკეთოთ გაწეულ საქმიანობას, აღვნიშნოთ ის რამაც დადებითი სამსახური გაგვიწია მუშაობაში, ამავე დროს ვთქვათ, თუ რა დაგვრჩა გასაკეთებელი, დავსახოთ მომავალი საქმიანობის კონკრეტული გზები.

ყოველივე ამისათვის კი საუკეთესო ტრიბუნაა პარტიული კონფერენციები.

სამრეწველო ქალაქებისა და რაიონების პარტიულ კონფერენციებზე მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ იმაზე, თუ პარტიული კომიტეტები როგორ ასრულებენ პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად აღებულ ვალდებულებებს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში. ამ ამოცანებს მათ საფუძვლად უნდა დაუდონ სკკპ ახალი პროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო პროდუქციის სიუხვის შექმნის გრანდიოზულ გეგმას.

სასოფლო რაიონების პარტიულ კონფერენციებზე ანალიზი უნდა გავუკეთოთ იმ საქმიანობას, რაც პარტიულმა კომიტეტებმა გასწიეს პარტიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში, უდიდესი ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ ამოცანებზე, რომლებიც სასოფლო პარტიული ორგანიზაციების, სოფლის მშრომელთა წინაშე დასახულია სკკპ ახალი პროგრამის პროექტით.

ამჟამად პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები, პარტიული კომიტეტების საანგარიშო მოხსენებებთან ერთად, განიხილავენ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს. ეს კი უფრო დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს. საჭიროა წინასწარ ისეთი გულდასმით და პასუხისმგებლობით მოვამზადოთ კონფერენციები, რომ ფართო გასაქანი მიეცეს დამსწრე დელეგატების თვითინიციატივისა და აზრის გამოვლინებას, მათ შენიშვნებსა და წინადადებებს სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ირგვლივ.

პარტიული კონფერენციების მთელ მუშაობას წითელი ზოლივით უნდა გასდევდეს ლენინური ნორმების, ხელმძღვანელობის კოლექტიური პრინციპის განუხრელად დაცვა, შინაპარტიული დემოკრატიის, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივი განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევისას მათი შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის თანამომდევნობის პრინციპს. ახლანდელ კონფერენციებზე პარტიის ამ საწესდებო მოთხოვნილების პრაქტიკულად განხორციელება უზრუნველყოფს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში ახალი პარტიული ძალების ფართოდ მოზიდვას, საშუალებას მოგვცემს სწორად შევაფასოთ ძველი და ახალგაზრდა კადრები.

პარტიული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ახლა ის არის, რომ უმაღლეს დონეზე მოამზადონ პარტიული კონფერენციები. ანგარიშგება და არჩევნები ყოველთვის იყო პარტიული ორგანოების მოღვაწეობის გენერალური შემოწმება, მათი უნარის გამოვლინება — სკკპ პროგრამისა და წესდების განუხრელი დაცვის საფუძველზე განსაზღვრონ და დასახონ მორიგი, კონკრეტული ამოცანები. დღეს ასეთი შემოწმება, მომავალ ყრილობასთან დაკავშირებით, ღებულობს განსაკუთრებულ ხასიათს.

საანგარიშო მოხსენებების, სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვის გულმოდგინე ორგანიზაციული მომზადება უზრუნველყოფს ყოველი კონფერენციის მაღალ იდეურ დონეზე, საქმიანად და ორგანიზებულად ჩატარებას. პარტიული კონფერენციები უნდა წარიმართონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის, ყოველივე ანტიპარტიული მოქმედების — სიყალბის, მიწერის, თვალთმაქცობის, ამორალური ქცევის, საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევის და სხვა გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების წევრებად იდეურად გამოწრთობილ და საქმიანი კანდიდატების წამოყენებას, რომელთაც აქვთ უნარი სათავეში ჩაუდგნენ იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლას, რომლებსაც დასახავს სკკპ XXII ყრილობა.

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲕ!

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი აქტიურად იბრძვის ახალი მანქანების შექმნისა და შემდგომი სრულყოფისათვის. ქარხნის კოლექტივმა შვიდ თვეში გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახის მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აქ წელს აითვისეს და გამოუშვეს 10 ჩაის საკრეფი მანქანა, რომლებიც საწარმოო გამოცდას გადიან ინგირის და ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

საწარმოში დანერგეს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რითაც მკვეთრად შემსუბუქდა მუშათა შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და 7,8 პროცენტით შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. გაუმჯობესდა ეკონომიური მაჩვენებლები. გასულ პერიოდში წარმოებამ 15 ათასი მანეთის ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ახალი მანქანების ათვისებაში განსაკუთრებით ახალგაზრდა ოსტატ-ინოვატორ, კომუნისტ შრომის ამწყობთა უბანმა, რომელსაც ბ. ჭანტურია ხელმძღვანელობს. ცალკეულ სპეციალისტებს შორის ყველაზე კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ზეინკლები მ. რემიზოვი და ა. ციხისელი, ხარატი ი. ჭინჭარაძე, კბილანამჭრელი ა. სამოილოვი.

სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის კოლექტივი. საწარმომ შვიდი თვის გეგმა 116,4 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 184 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად შვიდ თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 14.6 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 4 პროცენტით, დაზოგილია დიდძალი მასალები და ნედლეული. ყოველივე ამის შედეგად საწარმოს კოლექტივმა გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და შვიდ თვეში საშობლოს მისცა 109 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

საერთო წარმატებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომუნისტური შრომის საპატიო წოდების მოპოვებისათვის მებრძოლმა ბრიგადებმა, რომლებსაც ი. სიუმაშვილი და ე. ბალდანოვა ხელმძღვანელობენ. ცალკეულ დამკვრელებს შორის თავი ისახელეს თ. გოგიაშვილმა, ა. მეჩაიევმა, ს. მახარაშვილმა, ფ. ტაჩოვმა და გ. თუმანიანმა.

შვიდწლედის მესამე წელს თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივი მაღალნაყოფიერად შრომობს და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოს კოლექტივმა შვიდი თვის გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,7 პროცენტით გაზარდა, პროდუქციის თვითღირებულება 1,7 პროცენტით შეამცირა, დაზოგა 4,1 ტონა თამბაქო, 2.900 კვადრატული მეტრი სამაილზე ქაღალდი. ყოველივე ამის შედეგად საწარმოს კოლექტივმა მკვეთრად გაუმჯობესა ეკონომიური მაჩვენებლები და შვიდ თვეში 83 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

თავდადებულ შრომაში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც გ. აზალაძე, მ. ტერ-გრიგორიანი და ვ. აბროსიმოვი ხელმძღვანელობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნყალტუბო გუმბრინის წარმოების კოლექტივი წარმატებით დგას პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითის ვახტზე. მისცეს სამშობლოს ათასობით ტონა ზეგეგმითი მათეთრებელი თიხა — აი ასეთი დევიზით მიმდინარეობს ახლა მუშაობა ყველა საწარმოო უბანზე.

სურათზე: შახტის მტვირთავ-მნგრეველი ბ. მიქაძე, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 110 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. გერსამიასი (საქფესის ფოტოქრონიკა)

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში საუკეთესო შრომითი მაჩვენებლებით მოწინავეთა მხარდამხარ იბრძვის მწველავი ვერა ფილიევი. იგი მზრუნველობით უვლის მასზე გაპირიფარებულ პირუტყვს და წველადობის კარგ შედეგებსაც აღწევს. მოწინავე მწველავმა 6 თვეში ათ ძროხაზე საშუალოდ 14.451 ლიტრი რძე მოწველა, რითაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა გეგმას.

სურათზე: მოწინავე მწველავი ვერა ფილიევი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). რაიონალიზაციისა და გამომგონებლობის დარგში გაწეული მუშაობის გაცნობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, ამ დღეებში ქართული ავტომობილის მშენებლებთან სტუმრად იყო ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის რაციონალიზატორთა დელეგაცია, რომელსაც მოწინავე მგლინავი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ნარიმანიძე მეთაურობდა.

სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორების, კერძოდ, რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადის საქმიანობას, ესაუბრნენ რესპუბლიკის დამსახურებულ რაციონალიზატორს ი. ხაზარაძეს, ქარხნის სხვა მოწინავე ადამიანებს, დათვალიერეს საამქროები.

თავის მხრივ მეტალურგმა რაციონალიზატორმა თავიანთ ქუთაისელ თანამოსაქმეებს მოუთხრეს იმ შემოქმედებითს შრომაზე, რასაც ისინი ეწევიან პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘ. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა — გადაჭარბებით შეასრულეს პარკის დამზადების წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 4.613 კილოგრამი პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.200 კილოგრამისა.

მეაბრეშუმეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის პრიმორსკოეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას საქართველოს კ პ გუდაუთის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ, ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ. („კომუნისტის“ კორ.). მეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეები, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გულმოდგინედ შრომობენ იმისათვის, რომ ვადაზე აღრე შეასრულონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი. ლაგოდეხელები სიტყვას არ ტეხენ, იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. განსაკუთრებით დაწინაურდნენ რძის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 1.965 ტონიდან სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 1.625 ტონა რძე. ბევრმა მათგანმა ნაკისრი ვალდებულება უკვე გაანაღდა.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მეძროხეობის ფერმამ (გამგე ა. ბარაბიშვილი) ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 122 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 151 ტონა რძე. სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმამ (გამგე გ. ცეცხლაძე) ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით სახელმწიფოს 50 ტონა რძე მიჰყიდა, სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „დრეტმამ“ — 35 ტონა.

— მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნის წინადღეებში გადაჭარბებით შეასრულებთ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტების მიყიდვის ნაკისრ ვალდებულებას, — აცხადებენ ლაგოდეხელი მეცხოველეები.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

15 აგვისტოს „სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა საფრანგეთის ეროვნული გამოფენა.

გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ბევრი ფრანგი სტუმარი, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც სსრ კავშირში აირიან აკრედიტებული, საელჩოთა თანამშრომლები საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლები, პრეზიდიუმში არიან რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. კოდიცა, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი ვ. გ. ბაკაევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ი. ა. მალიკი, ა. ა. სობოლევი და სხვები. აგრეთვე საფრანგეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ვ. ბაუმგარტნერი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეტანი, გამოფენის გენერალური კომისარი რ. ბორდაზი, საფრანგეთის გამოფენების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. ლეენხარდი.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა საფრანგეთის ელჩმა სსრ კავშირში მორის დეტანმ.

შემდეგ გამოვიდა გამოფენის გენერალური კომისარი რ. ბორდაზი.

რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელითა და დავალებით მიესალმა საფრანგეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს ბატონ ბაუმგარტნერსა და საფრანგეთის დელეგაციის სხვა წევრებს, საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, აგრეთვე სპეციალისტებსა და მუშებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გამოფენის მოწყობაში.

დ. ს. პოლიანსკიმ გამოთქვა იმედი, რომ საფრანგეთის მოსკოვის გამოფენა და საბჭოთა გამოფენა, რომელიც პარიზში გაიხსნება სექტემბერში, დაეხმარებიან საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხებს უკეთ გაეცნონ ორივე ქვეყნის მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში და ხელს შეუწყობენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთ ხელსაყრელი ვაჭრობის გაფართოებას, ორივე ხალხის ტრადიციული კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

დასასრულ დ. ს. პოლიანსკიმ საფრანგეთის ეროვნული გამოფენის მოწყობით და მონაწილეთ უსურვა წარმატება და გამოთქვა რწმენა, რომ იგი ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ჯანსაღი სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

საფრანგეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ვ. ბაუმგარტნერმა, რომელიც დ. ს. პოლიანსკის შემდეგ გამოვიდა, მადლობა გადაიხადა იმ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც გამოფენის მოწყობათა მიმართ გამოთქვა დ. ს. პოლიანსკიმ, აღნიშნა, რაც გაუწიეს საბჭოთა მუშებმა და სპეციალისტებმა გამოფენის მოწყობაში.

ვ. ბაუმგარტნერი გამოფენის გახსნილად აცხადებს. ეღერს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. სტუმრები მიიწვიეს დათვალიერონ ექსპონატები, რომლებიც განლაგებულია „სოკოლნიკის“ პარკის რვა დახურულ პავილიონში და ღია მოედნებზე. (ხაკდესი).

ᲛᲔᲠᲚᲘᲜᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓᲐᲐ, ᲒᲝᲜᲘ ᲤᲐᲪᲘ-ᲤᲣᲪᲝᲒᲡ

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშვიდი ვითარება, რის შესახებაც იუწყებიან პარიზის გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები, ბონელ პროვოკაციების მოუკარულთა გაოფორებას იწვევს. „მიუხედავად ფაცი-ფუცისა, რომელმაც მოიცვა ბონელ გენერალმა გუშინ გამოაცხადა, რომ დაგეგმილია ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობის გადიდება 28 ათასი კაცით სამსახურის ჩვეულებრივი ვადის ნებაყოფლობითი და იძულებითი განგრძობის გზით.

იუწყება რა ამას, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მოპუავს სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლის ის განცხადება, რომ ზოგიერთ სამხედრო მოსამსახურეს დაახლოებით ერთი წლით გაუგრძელდება ჩვეულებრივი სამსახურის ვადა.

ᲒᲔᲠᲚᲘᲜᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓᲐᲐ, ᲒᲝᲜᲘ ᲤᲐᲪᲘ-ᲤᲣᲪᲝᲒᲡ

პარიზი, 16 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშვიდი ვითარება, რის შესახებაც იუწყებიან პარიზის გაზეთების ბერლინელი კორესპონდენტები, ბონელ პროვოკაციების მოუკარულთა გაოფორებას იწვევს. „მიუხედავად ფაცი-ფუცისა, რომელმაც მოიცვა ბონის პოლიტიკური წრეები, — ბაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ლიბერასიონი“, — როცა მათ შეიტყეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ გაძლიერდება კონტროლის ღონისძიებანი, ბერლინი კვლავ დამშვიდებულია. დასავლეთის მთავრობების სიფრთხილე აღიზიანებს კანცლერ ადენაუერსა და დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრს ვილი ბრანდტს, რომლებიც ცდილობენ თავისებურად დაასხან ცეცხლზე ნავთი. იმ დროს, როცა ქალაქი უწინდებურად დამშვიდებულია, ბ-ნი ბრანდტი მოუწოდებს დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებს მოაწყონ მანიფესტაცია. ეს პროვოკაცია გვიჩვენებს დასავლეთ გერმანიის იმ ხელისუფალთა ნამდვილ სახეს. რომლებიც უკანასკნელ დღეებში „მოუწოდებდნენ სიმშვიდისათვის“, თუ ინციდენტები მოხდება, ყველასათვის ცნობილი იქნება, ვინ ეძებს მათ...“

ᲣᲪᲮᲝᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲘᲜᲘᲡᲒᲐᲜ

Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

ტოკიო, 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი ეწვია იაპონიის პრემიერ-მინისტრს ხაიატო იკედას და ესაუბრა მას.

ᲠᲐᲡᲐᲚᲘ ᲨᲝᲠᲡᲐᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ლონდონი, 16 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „გარდიანის“ იურიდიული საკითხთა მიმომხილველმა კომენტარი გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რასკის განცხადებას, რომელშიც იგი იმოწმებდა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებას ბერლინში „მიმოსვლის თავისუფლების“ შესახებ. მიმომხილველი წერს, რომ რასკის ეს დამოწმება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს.

საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის თვალსაზრისით, ნათქვამია სტატიაში, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რასკის განცხადება, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება ბერლინში სექტორის საზღვრების დაცვის შესახებ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეთანხმებათა „უხეში დარღვევაა“, მეტად გაუფრთხილებელია და შორსაა სინამდვილისაგან.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელი

ᲢᲔᲛᲞᲘ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ...

სასახელოდ შრომობს ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოშენსტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ხ. სიჭინავა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 71 ტონის ნაცვლად მოკრიფა 76,1 ტონა და იბრძვის კიდევ 24 ტონა ჩაის მოკრეფისათვის. კრეფის ტემპი გააძლიერეს ეკატერინა პულიამ, ანასტასია ასილუკმა, ანასტასია ფრეკენვამ და სხვებმა.

რაიონში ახლა ყოველდღიურად კრეფენ 55-60 ტონა ჩაის ფოთოლს. მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ ჩაის კრეფის რაიონული გეგმა 25 აგვისტოსათვის შეასრულონ, ხოლო ვალდებულების შესრულება სამშობლოს უპატაკონ პარტიის XXII ყრილობის დღისათვის.

Ш. ᲨᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

ᲥᲔᲓᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ბათუმი. (საკ. კორ.). ქედის რაიონის მეჩაიეები წარმატებით ანალდებენ პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ვადაზე 48 დღით ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ფლიუნი გეგმა. მოკრეფილია 142 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს მაჩვენებელი შარშანდელს 64,5 ტონით აღემატება. მოკრეფილი ფოთოლიდან 83 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდნენ კოლოტაურის, პირველი მაისის, მერისის, ზესოფლის და სიხალიქიების კოლმეურნეობები. მეჩაიეებმა პირობა დადეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 60 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

წინასაყრილობო ტრიბუნა

განვიხილავთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტს

დიადი მომავლის პროგრამა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი ჩვენი ეპოქის დიადი პოლიტიკური დოკუმენტია. მასში დასახულია კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა. პროექტში დახასიათებულია ჩვენი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, დაყენებულია ამოცანები ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის წინაშე. გული სიხარულით გეკვსება, როცა ამ დოკუმენტში კითხულობ, რომ პარტია ყველაფერს ადამიანისათვის და ადამიანის კეთილდღეობისათვის აკეთებს. ეს უმაღლესი პრინციპი განსაზღვრავს და წარმართავს ჩვენი საზოგადოების ეკონომიურ და იდეურ ცხოვრებას. პარტიის ამ დოკუმენტში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, ახალი ადამიანის ფორმირებას.

ამავამად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პარტიული კომიტეტის მთელი ყურადღება მიპყრობილია იმაზე, რომ ფართო პროპაგანდა გაუწიოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით შინაარსიანი და მიმზიდველი გახდა პარტიულ კომიტეტთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტის საქმიანობა, დაწესებულია კონსულტანტების სისტემატური მორიგეობა. კაბინეტმა შეიძინა პოლიტიკური ლიტერატურა, მოაწყო ჩვენი სამშობლოს მიღწევათა ამსახველი სტენდები, პლაკატები, ალბომები, რაც დიდ დახმარებას უწევს პოლიტიკური განათლების წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელებს, პროპაგანდისტებს, აგიტატორებს.

ამ დღეებში კაბინეტში დაიდგა კითხვა-პასუხის ყუთი. ხშირად ეწყობა საუბრები, თემატიური საღამოები, თეორიული კონფერენციები. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კონსულტანტები: კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილების გამგე ქ. ოტიაშვილი, განათლების განყოფილების გამგე თ. ეგაძე, ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსი კ. მოისწრაფიშვილი, თელასის უფროსი ვ. ფანიევი, საფინანსო განყოფილების გამგე კ. სოხაძე, კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. მურღულია და სხვები. ისინი კაბინეტში მორიგეობის დროს საფუძვლიანად განუმარტავენ მშრომელებს პროგრამისა და წესდების პროექტების არსს.

გათვალისწინებულია მოსახლეობაში პროგრამისა და წესდების პროექტების თვითეული მშრომელისათვის გაცნობის მიზნით შეიქმნას სპეციალური ჯგუფები ყველაზე მომზადებული კომუნისტებისაგან, რომლებიც გამართავენ საუბრებს ეზოებში და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილებში. ამ დღეებში აგიტატორთა სემინარის ხელმძღვანელმა, ქალაქის სავაჭრო განყოფილების უფროსის მოადგილემ კომუნისტმა ი. ძებისაშვილმა აგიტატორებს საფუძვლიანად გააცნო სკკპ პროგრამის პროექტი. საუბრის დროს აგიტატორებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ ისტორიული დოკუმენტისადმი და პროგრამის პროექტის ირგვლივ მრავალი შეკითხვა მისცეს სემინარის ხელმძღვანელს.

აგიტატორთა ინიციატივით ხშირად ეწყობა ექსკურსიები, შეხვედრები კომუნისტური შრომის ბრიგადებთან და სხვ. აგიტატორებმა გ. ბაქრაძემ, ნ. ნაცვლიშვილმა, ი. სტეფანოვმა და სხვებმა უკვე დაიწყეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელთა შორის სკკპ პროგრამის პროექტის ფართო გაცნობა.

ამ დღეებში შეიქმნა მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი. ამ აგიტპუნქტში პარტიულმა კომიტეტმა გამოჰყო მოწინავე აგიტატორები კ. ჭყონია, ვ. ჩიღვინიძე, გ. ღლონტი, მ. კარაპეტოვა, ა. მესხი, ა. კაკვიძე და სხვები. აგიტპუნქტი მომსახურებას უწევს 4.000-მდე კაცს.

აგიტკოლექტივის ძირითადი ამოცანაა მაღალ იდეურ დონეზე აიყვანოს კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის შესწავლა-განხილვა, ხელი შეუწყოს ხალხის შემოქმედებითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, დაეხმაროს მშრომელებს ნაკისრი ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში, რათა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

> **ხალხი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა. პარტია არსებობს ხალხისათვის. მისთვის სამსახური მიაჩნია თავისი საქმიანობის აზრად. ხალხთან პარტიის კავშირის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება კომუნიზმისათვის ბრძოლაში წარმატების აუცილებელი პირობაა. პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია მუდამ ეთათბირებოდეს მშრომელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. გამოჰქონდეს ეს საკითხები მთელი ხალხის განსახილველად. უფრო ფართოდ იზიდავდეს უპარტიოებს მთელ თავის მუშაობაში მონაწილეობის თარდება სოციალისტური დემოკრატია. მით უფრო ღრმა და მრავალმხრივი უნდა იყოს პარტიის მუშაობა მშრომელთა შორის. მით უფრო ძლიერი იქნება მისი გავლენა მასებში.**
>
> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან

ქალას გვმაგებს

ჩვენი საბჭოთა მეურნეობის მუშაკები გულდასმით სწავლობენ და განიხილავენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების რა ნათელი, ბრძნული და რეალური გზებია დასახული პარტიის ამ ისტორიულ დოკუმენტში!

და ეს აღფრთოვანებს, ძალას მატებს, პატრიოტულ სულისკვეთებას უღვივებს მეურნეობის მინდვრებსა თუ ფერმებში მომუშავე თვითეულ ადამიანს.

პარტიის პროგრამის პროექტში მთელი სიცხადით მოცემულია დებულება იმის შესახებ, თუ სოციალისტური მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულად დასაბუთებულ, ყოველმხრივ შემოწმებულ და აწონილ-დაწონილ სპეციალიზაციას, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული განლაგება, კეთილსინდისიერად დაცულ იქნეს ბუნებრივ-ეკონომიური ზონებისა და რაიონების მიხედვით, მისი უფრო გაღრმავებული და მყარი სპეციალიზაცია.

ჩვენს მეურნეობაში წლითი-წლობით მატულობს წველადობა. მაგალითად, 1957 წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მხოლოდ 650 კილოგრამი რძე მივიღეთ, გასულ წელს წველადობა საშუალოდ 2.154 კილოგრამამდე გაიზარდა, ხოლო წელს კიდევ უფრო გადიდდება.

ახლა მეურნეობის თვითეულ ფერმაში, ყველა უბანში თავდადებული შრომაა გაჩაღებული. ჩვენი ფიქრი და მისწრაფება ერთია — განუწყვეტლივ ვზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, შევქმნათ სიუხვე, მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის განხილვის დღეებში ჩვენი მეცხოველეები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

მეურნეობის მოწინავე მწველავებმა თალიკო ნათენაძემ, სონა ხოსიტაშვილმა, მარგო ხეჩოიანმა და სხვებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე თვითეული ძროხის წველადობა 3.200-3.500 კილოგრამამდე აიყვანონ.

მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა შვიდწლედის მესამე წელს საშუალოდ ძროხაზე მიიღოს 2.200 კილოგრამი რძე, ყაზარდოს წველადობა იმ ანგარიშით, რომ სახელმწიფოს მიეყიდოთ 13.000 ცენტნერი რძე. ასევე მკვეთრად გადიდდება ხორცისა და კვერცხის წარმოება. სახელმწიფოს მივყიდოთ 2.000 ცენტნერ ხორცს, 46.000 ცალ კვერცხს.

ჩვენი მეურნეობის მუშაკები, კისრულობენ რა ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, ამით გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას, მხარდაჭერასა და მოწონებას მშობლიური კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისადმი, რომელიც ჩვენი ეპოქის უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია.

ს. მასხარაშვილი,
ახალქალაქის რაიონის ოკომის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

თეორიული კონფერენცია ეროვნული ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკა

##

საერთაშორისო
დეკანოზი, ცნობიერი, ეიმოსნიდან
ცხოვრება

გერმანიის პრობლემა მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

ბერლინი, 15 აგვისტო. (საკდესი). ადნის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი განცხადება.

„ისრაფვიან რა გაამწვავონ საერთაშორისო ძაძაბულობა და ახალი დაბრკოლებანი აღმართონ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები სხვადასხვა პროვოკაციას მიმართავენ, რომლებსაც შეიძლება საში შედეგები მოჰყვეს.

უკანასკნელ ხანს დასავლეთ გერმანიაში კვლავ გაისმის მუქარა — შეწყვიტონ ვაჭრობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. ამის საბაბად გერმანიის გაერთიანების მოწინააღმდეგენი ამჯერად იყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განზრახვას დადოს საზავო ხელშეკრულება იმ ქვეყნებთან, რომლებიც, ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მოითხოვენ მშვიდობიან მოწესრიგებას გერმანიისათვის უახლოეს ხანში და დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციას ამ საფუძველზე. ახალი პროვოკაციების ორგანიზატორები არ ფარავენ თავიანთ განზრახვებს. მათ სურთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის საშუალებით ძირი გამოუთხარონ მის ეკონომიკას და დაარღვიონ რესპუბლიკის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ეს მუქარა არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს. ამასთან არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ ეს მუქარა ეწინააღმდეგება დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის საარსებო მნიშვნელობის ინტერესებს.

ძალის პოზიციიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ლაპარაკის და მასზე ეკონომიური ზეგავლენის მოხდენის ცდები გარდუვალად ჩაიფუშება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობა საკმაოდ ფართოა, და თუ საჭირო გახდა, შეუძლია მიიღოს საზღვარგარეთის ბაზარზე საკონელი, რომელსაც დღეს დასავლეთი გერმანია აწვდის მას. როგორც ცნობილია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქონელგაცვლის 90 პროცენტი სხვა ქვეყნებზე მოდის და არა ფედერაციულ რესპუბლიკაზე. ამასთან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია მტკიცე იმედი იქონიოს, რომ მას მხარდაჭერას გაუწევს ეკონომიურად მძლავრი სოციალისტური ბანაკი. ამის შესახებ უკვე მიღწეულია შეთანხმება საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ვაჭრობის შეწყვეტის გეგმები რასაც ბონში ამზადებენ, დაკავშირებულია დიდ გართულებებთან უწინარეს ყოვლისა თვითონ დასავლეთ გერმანიისათვის. ამჟამად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ვაჭრობას აწარმოებს დასავლეთ გერმანიის ბევრი ფირმა, რომელთა საწარმოებში დასაქმებულია ათეულ ათასობით მუშა და მოსამსახურე. თუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ვაჭრობის შეწყვეტის გეგმები „განხორციელდა, ეს მატერიალური ზარალის მომასწავებელი იქნება მათთვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობა შესაბამის მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობის განვითარებას. ამასთან იგი იმას თვალისწინებს, რომ არსებულ პირობებში, რაადენადაც ფედერალური მთავრობის მიზნით ფაქტიურად არ არსებობს ნორმალური ურთიერთობა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის, ეკონომიური ურთიერთობის შენარჩუნება და გაფართოება ერთგვარ შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ ორივე გერმანული სახელმწიფო თანდათანობით დაუახლოვდეს ერთმანეთს და გაერთიანდეს მომავალში. ამის მიხედვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ყოველთვის ყოველ ღონეს ხმარობდა ამ სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი გაფართოებისათვის. შეიძლება გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ უმთავრესად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ თანამიმდევრული პოზიციის მეოხებით მას შემდეგ, რაც ხელი მოაწერეს 1951 წელს ბერლინის სავაჭრო შეთანხმებას, რომელმაც ურთიერთსასარგებლო ეკონომიური თანამშრომლობის კარგი საფუძველი უზრუნველყო, საქონელგაცვლა ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის წლითიწლობით იზრდება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა წინააღმდეგ „მკაცრ ღონისძიებათა“ დაწესებულებმა უნდა იფიქრონ, თუ რა შედეგები მოჰყვება ბერლინის 1951 წლის შეთანხმების ცალმხრივ გაწყვეტას. მათ აგრეთვე არ უნდა დაივიწყონ, რომ დამატებითი შეთანხმება გადასახადელთა და სამსახურის შესახებ, რომლის თანახმადაც ხდება ანგარიშსწორება ტვირთის გადაზიდვაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინს შორის, საავჭრო შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. საავჭრო შეთანხმების გაწყვეტით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ძალას წაართმევდა აგრეთვე დამატებითს შეთანხმებას გადასახადელთა შესახებ. საავჭრო შეთანხმებაზე ცალმხრივი უარის შემთხვევაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა თავის თავს წაართმევდა იმ შესაძლებლობას, რომ გადაზიდოს საქონელი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის კომუნიკაციებით. უეჭველია, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობა ამ გადაწყვეტილებით შეგნებულად მიაყენებდა დარტყმას დასავლეთ ბერლინსაც.

დასავლეთ გერმანიის მმართველმა წრეებმა უნდა შეიგნონ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და რომ მისი კომუნიკაციები შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ხელშეკრულების საწყისებზე, ე. ი. საერთაშორისო სამართლის საერთოდ მიღებული ნორმების სრული შესაბამისობით“.

ვალტერ ულბრიხტი მეომრებთან

ბერლინი, 15 აგვისტო. (საკდესი). ადნის სააგენტო იუწყება: 14 აგვისტოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი ეწვია ეროვნული სახალხო არმიის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს, რომელსაც დაკალებული აქვს დაიცვას საზღვარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში. იგი გულითადად ესაუბრა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. „ზოგიერთ მოწინააღმდეგეს ეგონა, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო იმდენად ძლიერი, რომ დარტყმა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის“, — თქვა ვალტერ ულბრიხტმა ჯარისკაცებთან საუბარში. მისმა სიტყვებმა, „ყველა ბრძანება პუნქტუალურად შესრულდა, ყველანი დროზე იყვნენ თავიანთ ადგილზეო“ მხურვალე მოწონება გამოიწვია. ეროვნული სახალხო არმია, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, თავის პოსტზეა და ყველაფერი წესრიგზეა. „მას შემდეგ, რაც აქ ყველაფერი ასეთი სიზუსტით შესრულდა, არ შეიძლება რაიმე ექნა შევიტანთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო აპარატის კარგ მუშაობაში. იმედი ვიქონიოთ, გასაგები გახდება, რომ თუ საზავო ხელშეკრულების მომზადება სურთ, უმჯობესია მოლაპარაკებით დაიწყონ“.

ადენაუერის მუქარა

ბონი, 15 აგვისტო. (საკდესი). ღონისძიებებმა, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს დასავლეთ ბერლინის საზღვრებზე ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, ბონის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა გაბოროტება გამოიწვია, რადგან ეს ღონისძიებანი ლახვარს სცემენ მშვიდობის მტრების ძირგამომთხრელ მუშაობას. გამოვიდა რა წინასაარჩევნო მიტინგზე დასავლეთ გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში, კანცლერი ადენაუერი იქამდეც კი მივიდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიება გამოაცხადა... „დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ“.

„კონტროლონისძიების“ სახით ადენაუერმა კვლავ გამოთქვა მუქარა, რომ „გადასახჯავს“ ხელშეკრულებას გერმანიის შინაგაჭრობის შესახებ. დასავლეთ გერმანიის კანცლერმა აშკარად დაკარგა ზომიერების ყოველგვარი გრძნობა და დაემუქრა მთელ სოციალისტურ ბანაკს. თუ შეუძლებელი იქნება მოწესრიგდეს საკითხი საბჭოთა კავშირთან, განაცხადა ადენაუერმა. შემოღებულ იქნება სრული ემბარგო „მთელ აღმოსავლეთ ბლოკთან“ ვაჭრობაზე. როგორც კანცლერი ამტკიცებდა, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის სავაჭრო მიწოდებათა შეწყვეტა „მგრძნობიარე იარაღია“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თავის სიტყვაში კანცლერმა ისარგებლა ენერგიულად და კვლავ მოითხოვა, რომ შემდგომშიც ინტენსიურად განხორციელდეს საომარი მზადება ნატოს წევრ სხვა ქვეყნებთან ერთად.

ინგლისის ახალი ტალღა

ვაშინგტონი, 16 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღებულმა კანონიერმა ღონისძიებებმა თავისი სახდგრების დაცვის გასაძლიერებლად ინგლისის ახალი ტალღა გამოიწვია ვაშინგტონში. სახელმწიფო დეპარტამენტში წარმოვებს კონსულტაციები ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებთან „საპასუხო ღონისძიებათა“ თაობაზე.

როგორც ასოშიეიტედ პრესის დიპლომატიური მიმომხილველი ჰაიტუერი იტყობინება, ამ კონტროლონისძიებათა შორის განიხილება საკითხი, რომ შეიზღუდოს გამგზავრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასავლეთ გერმანიაში და შეწყდეს ვაჭრობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

პრესა იუწყება, რომ პრეზიდენტი კენედი ეთათბირება ბერლინის მდგომარეობის საკითხზე სახელმწიფო მდივანს რასკსა და თავის მრჩეველს.

ღვარძლიანი კამპანია წარმოებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის კონგრესში. რეაქციონერი სენატორები ცდილობენ სუვერენული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი ღონისძიებანი გამოიყენონ აღვირახსნილი ანტიკომუნისტური კამპანიის გაჩაღებისათვის. ამ სულისკვეთებით გამოვიდნენ სენატორები მუნდტი, სმაზერსი, ბრაჯესი, დირკსენი და სხვები.

საკონტროლო პუნქტებში სრული სიმშვიდეა

ბერლინი, 15 აგვისტო. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დასავლეთ ბერლინიდან დემოკრატიულ ბერლინში გადასასვლელ ოფიციალურ პუნქტებში მდგომარეობა ხასიათდება დასავლეთბერლინელი ყველა ქვეითად მოსიარულისა და ავტომანქანების მძღოლთა დაუბრკოლებელი მომსახურებით. ყურადღებითა და თავაზიანად აღიწერებენ პოლიციელები დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთა დოკუმენტებს. ერთ საათში, სულ ცოტა, გაივლის დასავლეთ ბერლინის 50 მცხოვრები დემოკრატიულ ბერლინში და უკან, განაცხადა 12 პუნქტიდან ერთ-ერთი პუნქტის სპეციალურ მუშაკმა.

საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა პრეზიდენტ სეკუ ტურეს

კონაკრი, 15 აგვისტო. (საკდესი). 13 აგვისტოს გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქ კონაკრიში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა გვინეის პრეზიდენტს სეკუ ტურეს.

მოედანზე, სადაც პრემიის გადაცემის ცერემონია მიმდინარეობდა, შეკრებილ 30 ათასამდე კაცი.

ცერემონია გახსნა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ვ. სკობელცინმა. მან მიულოცა სეკუ ტურეს მაღალი ჯილდო და უსურვა ჯანმრთელობა, ძალღონე და შემდგომი წარმატებანი მის კეთილშობილურ საქმიანობაში მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ცერემონიის დასასრულს გამოვიდა პრეზიდენტი სეკუ ტურე. ამ მაღალი ჯილდოს საუკეთესო პასუხი, თქვა მან, იქნება „ჩემი მუდმივი ერთგულება ჩემი პარტიის პოლიტიკური ხაზისადმი, რაც მიზნად ისახავს გვინეის სახალხო რევოლუციის სრულ გამარჯვებას და თანამშრომლობას ყველა მოძმე ხალხთან“.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კოლონიალიზმისადმი წინააღმდეგობის ძალები იზრდება, რომ ახლა კოლონიზატორებს სულ უფრო უძნელდებათ ბრძოლა კოლონიათა ხალხების წინააღმდეგ, ერთადერთი გზა, რომელიც გახსნილია კაცობრობის წინაშე შეთანხმების მისაღწევად, — მშვიდობიანი თანაარსებობა, მეგობრული შეჯიბრება პროგრესის ძიებაში საზოგადოების საკეთილდღეოდ.

პრეზიდენტმა შეკრებილთ აცნობა, რომ გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროომ გადაწყვიტა პრემიის ფულადი სახსრებით ააშენოს უხინაოლოთა სახლი.

დასასრულ სეკუ ტურემ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტს მაღალი ჯილდოსათვის და სთხოვა მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს საბჭოთა ხალხს და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს — ჩაგრულ ხალხთა მეგობარსა და მათი განთავისუფლებისათვის მებრძოლს გადასცეს ძმური სურვილები და მადლობა.

ასტრონომთა ფორუმი

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს ქალაქ ბერკლეში (კალიფორნიის შტატი) გაიხსნა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მეთერთმეტე ყრილობა.

ყრილობის გახსნაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ე. ს. სტივენსონი, რომელმაც ყრილობის მონაწილეებს გადასცა პრეზიდენტ კენედის სალამი.

ყრილობის 1000 მონაწილის — მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის არის საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია, რომელსაც აკადემიკოსი ვ. ა. ამბარცუმიანი მეთაურობს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ბ. სევერნი, აულკოვოს ობსერვატორიის დირექტორი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ა. მიხაილოვი და სხვა ცნობილი საბჭოთა ასტრონომები და ასტროფიზიკოსები.

საკდესის კორესპონდენტთან ტელეფონით საუბარში ვ. ა. ამბარცუმიანმა თქვა, რომ საბჭოთა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს სიმპოზიუმებში, რომლებიც წინ უძღოდა ყრილობას. უცხოელ კოლეგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს შორეული გალაქტიკების ფოტოსურათებმა, რომლებიც მიღებულია მძლავრი საბჭოთა ტელესკოპის დახმარებით, რომლის მოდელსაც უჩვენებენ კალიფორნიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ შენობაში, სადაც ყრილობა მიმდინარეობს. საბჭოთა მეცნიერები მოხსენებებს კითხულობენ ყრილობის პლენარულურ სხდომებზე და მის კომისიებში. საბჭოთა კავშირის გაგანტური წარმატებანი კოსმოსის ათვისებაში იწვევს ყრილობის მონაწილეთა დიდ ინტერესს საბჭოთა ასტრონომებისა და ასტროფიზიკოსების ნამუშევრებისადმი.

ინდოეთის ეროვნული დღესასწაული

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდოეთის რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავს ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს.

14 წლის წინათ დიდი ერი, რომელმაც მოიშორა საძულველი უღელი ბრიტანელი კოლონიზატორებისა, საუკუნეთა მანძილზე რომ ჩაგრავდნენ ინდოელ ხალხს, შეეძლო მსოფლიოს დამოუკიდებელ ხალხთა ოჯახს.

დილით ისტორიული წითელი ფორტიუ — ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ინდოელ პატიოსანთა თავდადებული გმირობის ძეგლის კედელთან გაიმართა დამოუკიდებელი ინდოეთის ალმის აღმართვის საზეიმო ცერემონია. ეროვნული ჰიმნის „ჯანა განა მაინი“ ხმებში (ინდოეთის დიდი შვილის რაბინდრანათ თაგორის სიტყვები) პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ფორტზე აღმართა საფეროვანი სახელმწიფო ალამი. გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალბები. ძოედანზე, ოთხელიც წითელ ფორტს აკრავს კიდით კიდეზე გაისმის ისლამება. ცერემონიული ძარ-ით ჩაიარა საპატიო ყარაულმა, რომელიც შედგენილია სამი გვარეობის ჯარების: არმიის, ავიაციისა და ფლოტის წარმომადგენლებისაგან. კვლავ ქუხს ტანი. მოედანზე გამორბიან ბავშვები — ახალი ინდოეთის იმედი და სიამაყე.

პრემიერ-მინისტრმა ნერუმ ინდოელ ხალხს მიულოცა დამოუკიდებლობის დღე. მისი წინადადებით პატივს სცემენ მათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ჩვენ ამბობს შემდეგ პრემიერი, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მშვიდობის მიღწევისათვის. ნერუ ხაზგასმით აღნიშნა საყოველთაო და სრული განიარაღების მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ჩვენი საუკუნე, აღნიშნავს ნერუ, კოსმოსში მოგზაურობის საუკუნეა. დღევანდელ ეპოქაში კოსმოსიური ხომალდები გამიზნებულია სხვა პლანეტებისაკენ.

პრემიერ-მინისტრი ამთავრებს სიტყვას, გაისმის ეროვნული ჰიმნი, რომელიც აუწყებს, რომ ინდოეთი გადადგა დამოუკიდებელი არსებობის მე-15 წელიწადში.

დამოუკიდებლობის დღეს დღესასწაულობს მთელი ქვეყანა—კაშმირის დათოვლილი მთებიდან ჩრდილოეთში კომორინის ტროპიკულ კონცხამდე სამხრეთში. დოქტორმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, მიულოცა ერსა და ყველა ინდოელს, რომლებიც საზღვარგარეთ არიან, დიდი დღესასწაული.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **იაპონიის** სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას „იაპონიისა და საბჭოთა კავშირს შორის საზავო ხელშეკრულების დადების ხელისშემწყობი საბჭო“. იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს, სავაჭრო, მეგობრობა და საქმიანი წრეების მხარდამჭერით პარტიას განზრახული აქვს საყოველთაო-სახალხო მოძრაობა გაშალოს სსრ კავშირთან საზავო ხელშეკრულების ძალე დადებისათვის.

□ **ისრაელში** პარლამენტის არჩევნები მიმდინარეობს. დეპუტატთა მანდატებისათვის ბრძოლაში მონაწილეობს 15 პოლიტიკური პარტია, რომელთა პროგრამები, გარდა ისრაელის კომუნისტური პარტიისა, ცოტა რამით თუ განირჩევა ერთმანეთისაგან. ყველა ისინი მოითხოვენ „ეროვნ კაპიტალის თავისუფლებას“, „დასავლეთთან კავშირს“, „არმიის განმტკიცებას“. მხოლოდ ისრაელის კომუნისტური პარტია მოუწოდებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

□ **ამერიკის** საავიაციო ბაზაზე ბენჯუოტერსში (ინგლისი) დაიმსხვრა ამერიკის ავიაგამანადგურებელი. ეკიპაჟის ერთი წევრი დაიღუპა, მეორე მძიმედ დაიჭრა.

გამოხდომა კუბის წინააღმდეგ

პუნტა-დელ-ესტე, 16 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ქვეყნების ეკონომიური და სოციალისტური საბჭოს კოოფერესციის დელეგატები გახდნენ უმაგვანი ფარული საქმიანობის მოწმენი, რაც შეასრულა ამერიკის დელეგაციამ, რომელიც ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს აიძულოს ლათინური ამერიკის ქვეყნები მიიღონ კუბის საწინააღმდეგო დეკლარაცია. აქ გაიმართა დელეგაციათა მეთაურების დახურული თათბირი, რომელზეც კუბის დელეგაციის მეთაური არ დაუშვეს. საიდუმლო თათბირის მოწვევისა და მოწყობის ინიციატივა იკისრა პერუს დელეგაციის მეთაურმა ბელტრანმა. გამოირკვა, რომ ბელტრანმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც იყო პუნქტები ეგრეთწოდებული „წარმომადგენლობითი დემოკრატიის შესახებ“, პერიოდული დემოკრატიული არჩევნების მოწყობის შესახებ და სხვ, რომლებმაც უნდა განაპირობონ „კავშირი პროგრესისათვის“, საქმე ეხება კუბის იზოლირების ცდას.

კუბის დელეგაციის მეთაურმა ერნესტო გევარამ პროტესტი განაცხადა ამ მოქმედების წინააღმდეგ და განმარტა, მოსთხოვა კონფერენციის სამდივნოს, რაზედაც პასუხი დღემდე არ არის გაცემული.

ტუნისში გრძელდება პროვოკაციები

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის ჯარები, რომლებსაც ოკუპირებული აქვთ ტუნისის ტერიტორიის ნაწილი, განაგრძობენ სამხედრო პროვოკაციებს, რაც ამწვავებს ძდგომარეობას ბიზერტის რაიონში და ტუნისის სხვა ნაწილებში. ამას მოწმობს უშიშროების საბჭოში ტუნისის წარმომადგენლის მონაქი სლიმის ახალი წერილი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საძდივნოთ გამოაქვეყნა.

წერილში ნათქვამია, რომ 13 აგვისტოს საფრანგეთის რაზმი თავს დაესხა ტუნისის სოფელს 20 კილომეტრზე ბიზერტის დასავლეთით. მოკლულია სამი ტუნისელი სამოქალაქო პირი. წინა დღეს, 12 აგვისტოს, საფრანგეთის არტილერიამ ალჟირის ტერიტორიიდან ცეცხლი დაუშინა ტუნისის ტერიტორიას, გამოიწვია ნგრევა და ადამიანის მსხვერპლი. იმავე დღეს ამავე რაიონში საფრანგეთის ჯარების კოლონები, რომლებსაც ეხმარებოდა ოთხი ბომბდამშენი „3-26“, ცდილობდა ალჟირიდან შესულიყო ტუნისის ტერიტორიაზე.

წერილში აღნიშნულია, რომ ტუნისში საფრანგეთის ჯარების მუდმივ სამხედრო პროვოკაციათა სერიის ეს უკანასკნელი ფაქტები ხაზს უსვამენ მდგომარეობის სერიოზულობას, რომელიც შეიქმნა საფრანგეთის 19 ივლისის აგრესიული მოქმედების შედეგად ბიზერტის რაიონში და რომელიც გამწვავდა იმის გამო, რომ საფრანგეთმა უარი თქვა შეესრულებინა უშიშროების საბჭოს დროებითი დადგენილება მთელი შეიარაღებული ძალებია თავდაპირველ პოზიციებზე დაბრუნების შესახებ, აგრეთვე იმის გამო, რომ აშკარად დაარღვიეს გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. თუ ასეთი პროვოკაციები გაგრძელდება, ნათქვამია ტუნისის წარმომადგენლის წერილში, ტუნისის მთავრობა იძულებული გახდება მიიღოს თავდაცვითი ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად. ითხოვა სლიმი სთხოვს უშიშროების საბჭოს წევრებს ყურადღება მიაქციონ მზარდ სერიოზულ საფრთხეს, რაც იმით გამოიხატება, რომ გრძელდება საფრანგეთის ჯარების აგრესიული აქტები ტუნისში.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 21 აგვისტოს გაიხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია, რომელიც განიხილავს ტუნისის წინააღმდეგ საფრანგეთის აგრესიის საკითხს.



ბონი ნეტარებას

ბონი, 15 აგვისტო. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი **ი. ბორისოვი** იუწყება:

დასავლეთგერმანელი პოლიტიკოსები და ბონის მორჩილი ბურჟუაზიული პრესა ბაგანდა კვლავ აღვივებენ ენებათა ღელვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებათა გარშემო, რომლებიც ხელს უშლიან ძირგამომთხრელ და დივერსიულ საქმიანობას. დასავლეთ ბერლინიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ამ სამართლიან ღონისძიებებს, რომელთა საჭიროება თვით ცხოვრებით იყო ნაკარნახევი, ბონმა უპასუხა მოურიდებელი ცილისწამებით და უხეში ლანძღვით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთელი სოციალისტური ბანაკის მიმართ. საყურადღებოა რომ ახლა ბონი ცდილობს რაც შეიძლება უფრო ღრმად ჩაითრიოს ფსიქოზის გაღვივების ამ კამპანიაში დასავლეთის ხელმწიფოები. დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი აშკარად გამოთქვამს დღეს უკმაყოფილებას დასავლეთის ხელმწიფოთა „თავშეკავების“ გამო. ამ მხრივ საგულისხმოა გაზეთ „დი ველტის“ სტატია. არსებითად იქ ახლა წამოყენებულია მოთხოვნა, ბონს აუნაზღაურონ თამასუქით ის, რომ თავის დროზე გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ გერმანიის გაერთიანებას ის ამჯობინა, რომ ატლანტიკის სამხედრო ბლოკს მიმხრობოდა. რაინის ნაპირებიდან გაისმის მოთხოვნები, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ დასჯერდნენ „ქაღალდის პროტესტებს“, არამედ „ეფექტიანი კონტროლონისძიებანი“ განახორციელონ. ამასთან მხედველობაშია პირველ რიგში სრული ემბარგო დაწესდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ვაჭრობაზე. ამ იდეის ინიციატორი და აქტიური მომხრე თვითონ კანცლერი ადენაუერია.

ბონი ცდილობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებანი გამოიყენოს აგრეთვე სრულიად გერმანიის ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის მარჯვე საბაბად. მთავრობის მოხრე გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ აღნიშნავს, რომ ბონში „ყველაფერი მზად არის“ საზონათშორისო ვაჭრობის გაწყვეტისათვის. დასახულია აგრეთვე ღონისძიებანი იმ დასავლეთგერმანული ფირმების წინააღმდეგ, რომლებსაც განზრახული აქვთ მონაწილეობა მიიღონ ლაიფციგის ტრადიციულ საშემოდგომო ბაზრობაში.

ამავე დროს დასავლეთ გერმანიის პროპაგანდის საერთო აგრესიულ ღმუილში შეიძლება შედარებით ალი ხმებიც გავარჩიოთ. ამ მხრივ დამახასიათებელია გაზეთ „გენერალ-ანციგერის“ მოწმანავე სტატია. იგი არსებითად აბათილებს მთელ დაუსაბუთებელ ხმაურს თითქოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებანი ვინმეს უფლებებს „არღვევდეს“ და „ვნებდეს მიმოსვლის თავისუფლებას“. „თვითონ დასავლეთ ბერლინის თავისუფალი მიმოსვლა... დღემდე არ შელახულა“, — ხაზს უსვამს გაზეთი. „დასავლეთ ბერლინის მცხოვრებთათვის აღმოსავლეთ სექტორში შესვლა... კვლავ შესაძლებელი რჩება, — აღნიშნავს იგი. გაზეთის სიტყვით, არ არსებობს რაიმე „საკმაოდ დამაჯერებელი შესაძლებლობა“, რომ განახორციელდეს რამე საზონათშორისო ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების წინააღმდეგ, ამასთან დაკავშირებით „გენერალ-ანციგერი“ აფრთხილებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ეგრეთ წოდებულ „კონტროლონისძიებათა“ მიღებისაგან.

ბონი, 15 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის მებრძოლთა კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებანი მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად ბერლინში იმის შედეგია, რომ ბონმა უარი თქვა დათანხმდეს გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის პრობლემათა მოწესრიგებაზე საზაო ხელშეკრულების საშუალებით. ფედერაციული რესპუბლიკის პასუხისმგებელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც ამჟამად აღშფოთებით ეხმაურებიან სექტორალური საზღვრების დახურვას, ნათქვამია განცხადებაში, უნდა აღიარონ, რომ მათ თვითონ გამოიწვიეს ეს სიტუაცია თავიანთი მტრული პოლიტიკით.

გერმანიის პრობლემა ხაზგასმულია განცხადებაში, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ავსტრიის მაგალითის მიხედვით, რომელმაც სახელმწიფო ხელშეკრულებით ვალდებულება იკისრა დაიცვას სამხედრო ნეიტრალიტეტი. ძმათაყლეტი ომის ერთადერთი ალტერნატივა ის არის, რომ შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი და ნეიტრალური გერმანია, დაიღოს საზაო ხელშეკრულება მთელი გერმანიისათვის, რომელშიც აღიბეჭდება ორივე გერმანული სახელმწიფოს ატომური განიარაღება და სამხედრო ნეიტრალიტეტი, გადაიჭრას აგრეთვე მიმოსვლის საკითხები.

ხელს უწყობენ შეიარაღებას

ბუნდესვერი — დასავლეთ გერმანიის არმია — იზრდება. მისი გენერლები — ყოფილი ჰიტლერელი მხედართუფროსები — მოითხოვენ არმიის აღჭურვას ატომური იარაღითა და თანამედროვე სამხედრო ტექნიკით. ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არმიის შეიარაღებას. ამ სურათს დასავლეთ გერმანიის საგენტო დპა ავრცელებს. „ვინ იფიქრებდა, — ირონიულად წერს საგენტო, — რომ 1945 წლის შემდეგ ამერიკელი ჯარისკაცები გერმანელებს დაეხმარებოდნენ ტანკების შეკეთებაში?“ ეს ხდება დღეს ნატოში — დასძენს დპა. სურათიც თავისთავად მეტყველებს.







ფინიშის სწარჯზე

ლ. ფილატოვი,
გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

მეორე წელია ჩვენი ჩემპიონატი, ჩვეულების წინააღმდეგ, მოგვაგონებს არა რბენას გრძელ დისტანციაზე, სადაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ყველა გუნდი თანასწორუფლებიანია, არამედ რბოლას საშუალედო ფინიშით, რის შედეგად მთავარი პრიზებისთვის მეტოქეობას მხოლოდ მოწინავე ჯგუფი განაგრძობს.

გათამაშების ახალი ფორმულის პლუსები და მინუსები თავის დროზე საკმაოდ დაწვრილებით იქნა განხილული. და, შეიძლება ითქვას, უკვე არავისთვის, მათ შორის საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელებისთვისაც, საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ კლასიკური სისტემა — თვითეული თამაშობს თვითეულთან — კვლავ ყველაზე სამართლიანია და ამომწურავ დახასიათებას აძლევს თვითეული გუნდისა და მთელი ფეხბურთის საბრძოლო პოტენციალს.

ეს მოსაზრება გვინდა გამოვთქვათ სწორედ ახლა, როცა გაფლილია საშუალედო ფინიში და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოჩნდა ზოგიერთი დეფიქტი.

მაგრამ ჩვენი ეს შენიშვნა მომავალს ეხება, ჯერ კი გადავხედოთ ჩემპიონატს, ისე, როგორიც არის იგი. ამასთან უნდა ვთქვათ, რომ იგი საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება.

გათამაშების ცხრილი ყოველთვის სრულ წესრიგშია. მართლაც, როგორც უნდა თამაშობდნენ გუნდები, ქულები დაუწერეთ, ადგილები გარკვეული იქნება. მაგრამ გარეგნობის მიხედვით როდი მსჯელობენ ფეხბურთზე, როგორც, ვთქვათ, თეატრზეც. სპექტაკლები შეიძლება რეჟისორულად იმართებოდეს, რეპერტუარი შეიძლება მრავალფეროვანი იყოს, ვაკანსიები დასში შევსებული იყოს, წარმატების კი მაინც მსახიობთა და დამდგმელთა ოსტატობა ქნის.

სწორედ ასე ჩვენც, ცხრილს რომ დავყურებთ, უნდა შეგვეძლოს ელემენტარულ არითმეტიკაზე მაღლა დავდგეთ და გამოვიჩიოთ ცოდნა თუნდაც გეომეტრიის დარგში.

დიახ, ფეხბურთი თავისი საფუძვლით გეომეტრიულია. იგი მთლიანად მოქსოვილია მთამაშეებისა და ბურთის მოძრაობათაგან, სწორი თუ მრუდი ხაზით, სამკუთხედებისა და კვადრატებისაგან, ხოლო ზოგჯერ ბურთი მოედანზე ისეთ უცნაურ ფიგურას მიბაზავს, რომლის სახელწოდებას სახელმძღვანელოებში ვერ მოხაზავ. ბურთის გაქროლებაში ჩვენ ვაფასებთ აზრის ალმფრენას, თამაშში ვგვიკარს დავინახოთ დახეული ანგარიში, ოსტატობა და ჩანაფიქრი. ტყუილად კი არ არის, რომ ფეხბურთში ასე ფართოდ გამოყენებულია ქადრაკის ტერმინოლოგია: კომბინაცია, სვლა, იერიში, დაცვა...

სამი წლის წინათ ბრაზილიელებმა მსოფლიოს დაანახვეს იდეალუდად შესრულებული ტაქტიკური ვარიანტი ოთხი დამცველით და წინა ხაზზე ოთხი ფორვარდით. მახსოვს, მაშინ ჩვენც კი, შვეიცის ტურნირის მნახველებს, ვერ წარმოგვედგინა, რა გავლენას მოახდენდა მსოფლიო ფეხბურთზე ეს ბრაზილიური სქემა. ახლა ამ სქემას ყველგან ცდიან და იყენებენ. და აი რა არის საინტერესო. ფეხბურთის სტრატეგები თითქოს ორ ბანაკად გაიყვნენ. ზოგი ამ სქემის არსს ოთხ დამცველში, ე. ი. თავდაცვითი ტენდენციების გამარჯვებაში ხედავს. სხვები, ვინც ეძებს მიზეზებს, რომელთა გამო ბრაზილიელთა ოთხი თავდამსხმელი ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ ხუთზე სუსტი არ აღმოჩნდა, ცდილობენ სქემიდან გამოიყენონ მთელი მისი საერიშო რესურსები. შორსმჭვრეტნი, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელნი არიან.

საინტერესო და მიმზიდველია ცსკა-ს გუნდისა და მისი მწვრთნელის კ. ბესკოვის გამოცდილება. სხვათა შორის, ბესკოვმა, რომელიც შვეიცარიაში მეთვალყურედ იყო, ავსტრიელებთან მსოფლიოს მომავალი ჩემპიონების პირველი თამაშის შემდეგვე საიდუმლოდ მითხრა, „ოქროს ქალღმერთი“ ბრაზილიაში წავალ. მან ბრაზილიელების თამაშში გამოიცნო მთავარი რამ, რაც ახლა მტკიცდება, მისი გუნდის შესაძლოა არა იმდენად ქულებთან, რამდენადაც თამაშის მანერით.

ამ მანერას საკუთარი სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მძაფრი საიერიშო მანერა. მისთვის დამახასიათებელია შემდეგი: სწრაფად და გაბედულად, გაუჭიანურებლად, გრძელი გადაცემებით გასვლა შუა მოედანზე, ბურთის მკვეთრად და მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელად გადაყვანა ერთი ფლანგიდან მეორეზე და, ბოლოს, სწრაფვა იმისადმი, რომ დასკვნითს ფაზაში ბურთი ფეხთან კი არ მიაწოდოს პარტნიორს, არამედ თავისუფალ ადგილზე, სადაც იგი მოვალეა გაიჭრას. არმიელები განუწყვეტლივ ეძებენ ნაპრალებს დაცვის ხაზებში და იქ გზავნიან ბურთს, თითქოს ხმლით ნაჭრებად კვეთენ დაცვას. ამ მანერას საკმაოდ კარგად შეეგუენ წინანდელი მოთამაშენი — მამიკინი, ამბარცუმიანი, აპუტინი და ახლები — ფედოტოვი და ჟურავლიოვი. დამახასიათებელია, რომ გამოცდილი მოთამაშენი ბუბუკინი და კოვალიოვი, რომელთა სტილი დიდი ხანია, ჯერ კიდევ „ლოკომოტივში“ ჩამოყალიბდა, ჯეროვნად ვერ შეეგუენ პარტნიორებს და არაიშვიათად აფრუზებენ იერიშის განვითარებას. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყოველი ტაქტიკური ვარიანტი შესაფერ შემსრულებლებს მოითხოვს.

ჯარბი მაგალითიც გადამდებია. ამას წინათ მოსკოვის „სპარტაკმა“ პირდაპირ გაანადგურა არმიელები. ეს მნიშვნელოვანწილად იმიტომ მოხერხდა, რომ სპარტაკელები არმიელთა არსენალით აღიჭურვნენ, და გუნდებმა ამ მატჩში თითქოს სახელწოდებები გაცვალეს. რა გაეწყობა, ამ შემთხვევაში დამარცხება განიცადო საკუთარი იარაღით ნიშნავს დარწმუნდე, რომ ეს იარაღი საკმაოდ ბასრია.

ერთი სიტყვით, მე მგონია, რომ თამაშის ახალი მანერა ცსკა-სი, იმ გუნდისა, რომელიც მრავალი წელია არასაინტერესოდ, პასიურად თამაშობდა, მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი და სასიამოვნო მოვლენაა.

„ტორპედო“ (ცსკა-ზე მაღლა დგას დაგროვილი ქულებით, წოდებით (ჩემპიონი!), გამოცდილებით (ცხადია, ახლანდელი შემადგენლობის გამოცდილებით). ოდესღაც ტორპედოელები უთანაბრო, უწონასწორო თამაშით განირჩეოდნენ, ახლა კი მათ ნამდვილად ჩემპიონის სტილი გამოუმუშავებიათ. ისინი გაანგარიშებულად, ფრთხილად, მომჭირნედ და სოლიდურად თამაშობენ. ტყვილად კი არ არის, რომ თითქმის ნახევარი ქულებისა მათ მოუტანა ანგარიშმა 1:0. სამწუხაროა, რომ შარშანდელი და წლევანდელი „ტორპედო“ ტყუპები არიან, ოოდლებსაც ალბათ მათი „მამა“ — მწვრთნელი ვ. მასლოვიც ვერ გაარჩევს. ყველაფერი წინანდელი დარჩა: მოთამაშეთა შემადგენლობა და განლაგება, კომბინაციების ხასიათი. ჩემპიონი ქულებს აგროვებს, მაგრამ ოვაციებს ვერ იხვეჭს. ტორპედოელებში ვერ ხედავ ტემპერამენტს, გოლის წყურვილს, თუმცა მეტწილად ისინი ასაკით ახალგაზრდები არიან და მათ შორის ცოტა როდია გამოცდილი ოსტატი. თქმა არ უნდა, გუნდი ძლიერია. მაგრამ ხომ არ შეჩერდა იგი თავის განვითარებაში? ამ საკითხში ცსკა-ს მის წინაშე უპირატესობა აქვს, სწორედ ამიტომ დავიწყეთ ჩვენ მიმოხილვა არმიელებით.

ლიდერთა სამეულშია კიევის „დინამოც“. ამ გუნდის სახე მეტად თავისებურია. შეიძლება ითქვას, რომ მას ყველა სხვა გუნდზე მდიდარი არჩევანი აქვს მოთამაშეებისა, უწონარეს ყოველსა თავდასხმის ხაზში. კიეველები, ისევე როგორც არმიელები, როგორც თბილისელი დინამოელები, თამაშის მთელ აზრს იერიშში ხედავენ. ეს ფეხბურთისადმი პროგრესული მიდგომაა. კიეველთა სტილში იმპროვიზაცია, მოთამაშეთა პირადი ინიციატივა ზოგჯერ საერთო ჩანაფიქრის სიმწყობრეს სჭარბობს. საერთოდ საჭიროა ყოველნაირად წვავხალისოთ ეს თვისებები, მხარი დაეუჭიროთ მათ, ისინი აპრეშენენ, თავისებურ სახეს აძლევენ თამაშს. მაგრამ ეს თვისებები განსაკუთრებით კარგია, როცა იგი თავს იჩენს მკაფიოდ მოხაზული სისტემის ფარგლებში. აქ ნიმუშად რჩება ბრაზილიელთა გამოცდილება. და აი კიეველებს. თუმცა უკვე მეორე წელია მათი ძალები გაფფრჩქნის განიცდის, სწორედ ტაქტიკური დახვეწა აკლიათ. სწორედ ამაში ჩამოუვარდებოდნენ ისინი მარშან ტორპედოელებს და ამიტომ ჯილდოდ ვერცხლი მიიღეს და არა ოქრო. ყოველივე დანარჩენში კიეველები ჩემპიონის თანაბარი იყვნენ. დრო მიდის. მწვრთნელებს კი დღემდე არ შეუტანიათ საბოლოო სიცხადე თავიანთ ტაქტიკურ შეხედულებებში.

ჟოსკოვი. 16 აგვისტო. (ტელეფონით სპეც. კორ.). პროფკავშირთა სპორტკიადის ფინიშთან ბრძოლა გამწვავდა. დღეს გაიმართა მორიგი შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები მძლეოსნობაში. ესენი არიან 400 მეტრზე ვაეთა რბენაში — არხიპჩუკი (უკრაინა), 1500 მეტრზე რბენაში — სავინკოვი (ყაზახეთი), 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — ლავროვი (რსფსრ), 10.000 მეტრზე რბენაში — ბოლოტნიკოვი, ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — უკრაინის გუნდი; ქალთათვის 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა მუხანოვამ (მოსკოვი), შუბის ტყორცნაში — ოზოლინამ, ესტაფეტაში 4×200 მეტრზე — მოსკოვის გუნდმა.

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოდან ჩემპიონი გახდა შეყრილაძე, ხოლო ბერუაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა დღეს წააგეს შეხვედრები რსფსრ და ყაზახეთის გუნდებთან 44 : 57, 56 : 75, ხოლო ფრენბურთელებმა გაიმარჯვეს ბელორუსიისა და ესტონეთის გუნდებთან მატჩებში 3:2, 3:1.

ველორბოლაში ქალთათვის 25 კილომეტრზე პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ გუნდმა. საქართველოს გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. რსფსრ და საქართველოს გუნდებს ასეთივე შედეგები აქვთ სპორტულ ტანვარჯიშში.

საქართველოს მოკრივე ქიქავამ ნახევარფინალში დამარცხება განიცადა ბოტვინიკთან შეხვედრაში.

საერთო გუნდური მაჩვენებლებით კვლავ წინ არის რსფსრ გუნდი. საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივს მეხუთე ადგილი უკავია.

ხვალ გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

ო. ლორთკიფანიძე.

პაატარა მონადირე

ბორჯომი, 15 აგვისტო. (საქდესი). სოფელ ახალდაბაში ყველა იცნობს პიონერს გოდერძი ჩადუნელს, როგორც მუყაოთ მოწაფეს. იგი გადავიდა მე-7 კლასში, არის ხუთოსანი. გოდერძის იცნობენ როგორც შრომისმოყვარე ბიჭუნასაც, იგი სწავლისაგან თავისუფალ დროს ყოველთვის არის მამის არჩილ ჩადუნელის გვერდით, რომელიც საკომბინატო მინდვრებსა და საძოვრებზე მუშაობს. გოდერძის თავისი შრომის წიგნაკიც აქვს. მასში ჩაწერილია მიმდინარე წელს გამომუშავებული 60 შრომადღე.

მაგრამ ამას წინათ გოდერძი ჩადუნელმა სოფლად სასელი გაითქვა, როგორც გულადმა მონადირემაც. ეს მოხდა ასე:

სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის ყანებს უკანასკნელ დროს შეეჭვნა დათვი, რომელიც ნათესებს ანადგურებდა. რამდენჯერმე დაუდარაჯდნენ მას მონადირეები, მაგრამ ამაოდ, საჭირო გახდა დათვის სათვალთვალოდ ყანებისათვის სპეციალურად მიეჩინათ სოფლის საუკეთესო მონადირე არჩილ ჩადუნელი. იგი მთელ დამეებს დარაჯობდა დათვს. მამასთან ერთად იყო გოდერძიც, მაგრამ დათვი არ გამოჩნდა.

ერთხელ მამა სოფელში წავიდა, თავის მაგიერად ვაჟი დატოვა, მაგრამ შემოადგა და დაბრუნება ვერ მოასწრო. გოდერძის როდი შეშინდა, იგი გაბედულად იდგა სადარაჯოზე მამის ნაცვლად.

შუადამეს მისი ყურადღება მიიპყრო უჩვეულო ხმაურმა. პიონერი სმენად გადაიქცა, მოამზადა იარაღი, ყანაში შემოვიდა დათვი. გავარდა თოფი. დათვი წაიქცა, მაგრამ უმალვე წამოვარდა და გაეკანა მონადირისაკენ. გოდერძი არ დაიბნა. მან მეორედ გაისროლა. გასროლა ამჯერადაც ზუსტი აღმოჩნდა დათვი უსულოდ დაეცა. იგი იწონიდა 50 კილოგრამს.

მამაცური საქციელისათვის კოლმეურნეობის გამგეობამ პიონერი დაჯილდოვა ფასიანი საჩუქრით და ათი შრომადღით.

პროფკავშირთა VII სპარტაკიადა

თგილისელთა მატჩები

დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი ფეხბურთში, ანუ ასპარეზობა ქვეჯგუფებში.

ბრძოლა ოქროს მედლებისათვის განახლდება 27 აგვისტოდან. თბილისის დინამოელთა მატჩების კალენდარი ასეთია:

პირველი წრე

29 აგვისტოს ერევანში — „სპარტაკი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი), 3 სექტემბერს თბილისში — „დინამო“ (თბილისი) —„დინამო“ (კიევი), 16 სექტემბერს ტაშკენტში — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი), 20 სექტემბერს თბილისში — „დინამო“ (თბილისი) — ცსკა, 26 სექტემბერს მოსკოვში — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

მეორე წრე

1 ოქტომბერს თბილისში — „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ერევანი), 6 ოქტომბერს კიევში — „დინამო“ (კიევი)—„დინამო“ (თბილისი), 11 ოქტომბერს თბილისში— „დინამო“ (თბილისი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი), 16 ოქტომბერს მოსკოვში — ცსკა — „დინამო“ (თბილისი), 22 ოქტომბერს თბილისში — „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).

ვაჟას ფუარო ჩარგალში — ფოტო ბ. დადვაძისა

ჩვენი სტუმრები

საქართველოს ახალგაზრდობა დიდი გულითადობით შეხვდა ძვირფას სტუმრებს — პატრის ლუმუმბას სახელობის მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდ ჯგუფს. მათ შორის არიან მსოფლიოს 15 ქვეყნის — სუდანის, განის, ცეილონის, ინდონეზიის. სუდანის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლათინური ამერიკისა და სხვა ქვეყნების ჯგუფები და ქალაშვილები.

მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს სტუმრების შეხვედრები ქართველ ახალგაზრდობასთან. საზღვარგარეთელი სტუდენტები გაცხოველებული ინტერესით ეცნობიან ქართველი ხალხის კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს, რესპუბლიკის ახალშენებლობებს. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში სტუმრებს უჩვენეს თბილისის კინოსტუდიის დოკუმენტური ფილმები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულ მიწაზე მომხდარ გარდაქმნებს, რესპუბლიკის მშრომელთა შესანიშნავ წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

15 აგვისტოს პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ეწვივნენ გორს, სადაც დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, იყვნენ გორის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში.

უცხოელი სტუმრები საქართველოში 12 დღეს დარჩებიან.

საქართველოში სამ დღეს იყვნენ სტუმრად თვალსაჩინო ჩინელი კინომოღვაწეები რეჟისორი ჯან შუი-ხუა და ოპერატორი ჯუ ძინ-მინი. პირველი მათგანი არის პოპულარული ფილმის „ჟალარა ქალაშვილისა“ და მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე დაჯილდოებული სურათის „რევოლუციონერთა ოჯახის“ რეჟისორი.

საქართველოში ყოფნის დროს სტუმრები გაეცნენ თბილისს, იყვნენ გორში, იმოგზაურეს საქართველოს სამხედრო გზით, დათვალიერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ნახეს თბილისის კინოსტუდიის, ოთხი ფილმი. ჩინეთის კინემატოგრაფისტებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართულ ფილმებს, ჯან შუი-ხუამ აღნიშნა, რომ ნამდვილად რეალისტურად არის ასახული ომის სამინელებანი ფილმში „შეწყვეტილი სიმღერა“, ხაზი გაუსვა ფილმ „განძის“ დიდ რეჟისორულ ოსტატობას. სტუმრებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მულტიპლიკაციურმა ფილმმა „ჩხიკვთა ქორწილი“ და დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველოს არქიტექტორები“.

რეჟისორმა ჯან შუი-ხუამ თქვა, რომ ქართული ფილმები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ჩინეთში. ჩინურ ენაზე დუბლირებული „ჭრიჭინა“, „გაზაფხული საკენში“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ. ფილმები.

საუბრის დროს თბილისის კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ დირექტორმა მ. კვესელავამ სტუმრებს გააცნო ქართული კინემატოგრაფიის უახლოეს წლებში განვითარების გეგმა. (საქდესი).

შენდება, მშვენდება...

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). დამთავრდა მაიაკოვსკის ახალი მოედნის მოწყობა და მოასფალტება. მოედნისა და ქუჩების გაყოლებით წელს დაირგო ათასამდე ძირი ჭადარი და კედარი, მოეწყო გაზონები.

მაიაკოვსკი ხარაჩოებშია. შენდება მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი, კავშირგაბმულობის კანტორის, რესტორანის, პურის მექანიზებული საცხობის, ადგილობრივი მრეწველობის საკონსერვო ქარხნის, სახანძრო ღეპოს და სხვა შენობები. მთავრდება წყალსადენის მშენებლობა.

მიმდინარე წელს მაიაკოვსკში დაიწყება ახალი სკოლა-ინტერნატის მშენებლობა.

წელს ფოთის კომუნალური მეურნეობის განყოფილებასთან შექმნილმა გაზის კანტორამ 170-ზე მეტ ოჯახში დაიდგა თხევადი გაზის ქურები. ასეთ ქურებს კანტორა თბილისის ქარხანა „გაზაპარატისაგან“ იღებს. წლის ბოლომდე ქალაქის მშრომელთა ბინებში დამონტაჟდება 500-ზე მეტი გაზქურა.

ა. კომპახიძე.

„აგიტატორის გლოკნოტი“ № 16

გამოვიდა ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 16. მასში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი პროგრამა; დიდი ქმმიისათვის; მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები სამშობლოს; ლენინის პარტიის მძლავრი ორგანიზაციული იარაღი; **ჯ. მახარობლიე** — კოლმეურნეობის აგიტპუნქტი ამ დღეებში; **ი. გულორდავა** — იბრძვიან ფაბრიკის მარკის ღირსებისათვის და სხვ.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამბ. გიორგი ვასილის-ძე **ენუტაძეს** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.



17 აგვისტო

თეატრები: სპორტის სასახლე — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცეკვის ანსამბლი.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი — „მოწმენდილი ცა“, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „როცა თქვენ ისვენებთ“, 18.20 — კინონარკვევი, 18.50 — გადაცემა ციკლიდან — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობების შესახვედრად — „მწერლები სტუდიაში“, 19.15 — კინოჟურნალი, 19.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე — „ტექნიკური პროგრესის პერსპექტივები პარტიის ახალი პროგრამის პროექტის მიხედვით“, 19.45 — ახალი ამბები, 20.00 — მხატვრული ფილმი „ბალტიკის ცა“.

ამბები, ფაქტები, ცნობები

დედაქალაქის სიახლე

ქალაქის ერთ-ერთ მუშათა უბანში — ლენინის რაიონში დამთავრდა ახალი კომპლექსური სომატური საავადმყოფოს შენობის აგება, რომელიც წლის ბოლოსათვის გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მას ექნება 270 ადგილი, მოეწყობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. საავადმყოფოსთან იმუშავებს პოლიკლინიკა, ცალცალკე იქნება პათოლოგიურ-ანატომიური, ინფექციური, სამეურნეო კორპუსები. ექნება დიაგნოსტიკური-რენტგენოლოგიური, თერაპიული, ფლუოროგრაფიული, სტომატოლოგიური, სამკურნალო ფიზკულტურის, სინათლით და ელექტრობით სამკურნალო კაბინეტები, ბიოქიმიური და საერთო კლინიკური ლაბორატორიები, საოპერაციო და სხვ.

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა ამზადებს იარაღ-მანქანებს მრეწველობისა და სოფლისათვის. მრეწველობას უკვე გადაეცა აქ გაკეთებული კონვეიერები, საწმენდი დოლურები, დამზადებულია ვაზისა და ხეხილის შესაწამლი მანქანა „ტრეშანი“, ღორის გამოსაკვები ავტომატური დანადგარი, ჩაის ბუჩქის სასხლავი მაკრატელი. გუთნები, კულტივატორები, გარდა ამისა, ახლახან დაიწყო გამოშვება სხვადასხვა დეტალებისა გაზის მრეწველობისათვის. მაგალითად, თხევადი გაზის წნევის მარეგულირებელი, ვენტილი. ამზადებენ აგრეთვე პიანინოს სხვადასხვა დეტალებს, მათ შორის პედალს.

ხის დამამუშავებელი ქარხნის პროდუქცია — სხვადასხვა სახის სერვანტი, სასადილო გასაშლელი მაგიდა, გარდერობი, დივანი-საწოლი, ტელევიზორისა და რადიოს დასადგმელი მაგიდები, ტანსაცმლის ჩამოსაკიდი დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. ამჟამად კოლექტივი ითვისებს ახალი სახის სერვანტის დამზადების ტექნოლოგიას. კეთდება საჩვენებელი ნიმუშები, მეოთხე კვარტალში კი დაიწყება მათი მასობრივად გამოშვება.

სიცხე თბილისში

ზაფხულში, და ხანც აგვისტოში დიდი სიცხე რომ დგას თბილისში, ეს არც არის გასაკვირველი, მაგრამ მაინც საინტერესოა რა ტემპერატურაა ამჟამად ჩვენს დედაქალაქში, როგორი ამინდია მოსალოდნელი?

ამ კითხვებით მიგმართეთ თბილისის ამინდის ბიუროს უფროსს ვ. კოპლატაძეს.

მრავალი წლის მეტეოროლოგიური დაკვირვების მასალების მიხედვით აგვისტო ყველაზე ცხელი თვეა თბილისში, — გვიპასუხა მან. — თუ გადავხედავთ წინა წლების ამავე თვის მონაცემებს, ვნახავთ, რომ, მაგალითად, 1948 წლის 16 აგვისტოს თბილისში ტემპერატურა აღწევდა 38,4 გრადუსს, 1957 წლის 5 აგვისტოს კი სიცხემ მიაღწია 40 გრადუსს. ეს მონაცემი დღემდე სარეკორდოა თბილისისათვის. გასული წლის აგვისტოს ამ შესაბამის დღეებში კი თბილისში გრილოდა. თერმომეტრი გვიჩვენებდა 27-28 გრადუსს და უფრო ნაკლებსაც.

სიცხე ჩვენს დედაქალაქში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში წელს შედარებით ადრე დაიწყო. უკვე 17 ივნისიდან მთელი მომდევნო კვირის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში მაღალი ტემპერატურა იყო. 21 ივნისს კი ამ წლის სიცხის სარეკორდო მაჩვენებელი მივიღეთ. თბილისში თერმომეტრი გვიჩვენებდა 38,2 გრადუსს.

ასეთი ცხელი დღეები მაშინ გამოწვეული იყო ცხელი და მშრალი ჰაერის მასების გადმოტანით სამხრეთით მდებარე ქვეყნებიდან. იმ დროს, როცა თბილისში 38,2 გრადუსი იყო, ეგვიპტის ზოგიერთ რაიონში, ჩრდილში სიცხე აღწევდა 47-48 გრადუსს.

ამჟამად სიცხე თბილისში გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მთელი აგვისტოს განმავლობაში ადგილი არ ჰქონია სსრ კავშირის ევროპის ტერიტორიის ჩრდილო რაიონებიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრას. პირიქით, გაბატონებული იყო სამხრეთ-დასავლეთის ტროპიკული ჰაერის მასები.

თბილისში აგვისტოს დასაწყისში ტემპერატურა მერყეობდა 30-31 გრადუსს შორის. 14 აგვისტოს სიცხემ მიაღწია 34 გრადუსს. 15 აგვისტოს — 37,2, ხოლო გუშინ იყო 35,5, გრადუსი.

ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში შედარებით გრილოდა. 15 აგვისტოს ბათუმში 29 გრადუსი იყო ასეთივე ტემპერატურა იყო სოხუმსა და ზუგდიდშიც. გუშინ სოხუმში 29 გრადუსი აღინიშნებოდა, ბათუმში 28, ზუგდიდში — 27. ასე რომ დასავლეთ საქართველოში შედარებით გრილა.

თუ შევადარებთ ჩვენი ამინდის მონაცემს სამხრეთი ქვეყნებისას: — 15 აგვისტოს ბაღდადში იყო 46 გრადუსი, ირანის ზოგიერთ რაიონში 47-48 გრადუსი.

ამ უახლოესი ორი — სამი დღის განმავლობაში ტემპერატურის რაიმე არსებითი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ხოლო 4-5 დღის შემდეგ, ჩრდილოეთი რაიონებიდან ჰაერის ცივი მასების შემოჭრასთან დაკავშირებით, ტემპერატურა დაიწევს.

„ამბიტა“ — ბაკურიანი

გათუმის ბადრაკი ნახევარფინალი

15 აგვისტოს გაიმართა მეშვიდე ტური. ამ დღეს კინშინიოველმა ოსტატობის კანდიდატმა ი. მოსიონჟიკმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და 6 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. მან დამარცხა სტალინაბადელი ოსტატობის კანდიდატი გ. პრესი. ი. კლოვანმა (რიგა, ოსტატი) მოუგო ა. ანოხინს (ფრუნზე, ოსტატობის კანდიდატი), ვ. ზახარიანმა (ერევანი, ოსტატი) — ა. არაქელოვს (ბაქო, ოსტატობის კანდიდატი).

საერთაშორისო ოსტატის ვ. ბაგიროვისა (ბაქო) და ა. გიპსლისის (რიგა, ოსტატი), აგრეთვე ბ. გურგენიძე (თბილისი, ოსტატი) — ა. როზმანის (მინსკი, ოსტატი) პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ..

გუშინ შედგა ნახევარფინალური ტურნირის მერვე ტური.

ჰალილბეილიმ დაამარცხა ანოხინი, ნეიმ — კალანტარი, ლომაიამ — არაქელოვი, როზმანმა — უსტინოვი. კლოვანმა — ბუსლაევი; გურეშვილი-გიპსლისის, ბაგიროვ-პავლეშკოსა და პრეს-ზახარიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გურგენიძე-მოსიონჟიკის პარტია გადადებულია გურგენიძისათვის მოსგებამდგომარეობაში.

სპორტი

კომუნისტი

ТО 05627

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.